<u>მასწავლებელთა მე-12 სამუშაო სემინარი</u>

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მხარდამჭერები:

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

წალკის რესურსცენტრი

ორგანიზატორი:

სსიპ წალკის N1 საჯარო სკოლა

სემინარის ჩატარების დრო და ადგილი:

01.12.2022
წალკის N1 საჯარო სკოლა
დასაწყისი 13 საათი

სემინარის თემა:

სხვადასხვა დისციპლინების ინტერგირებული სწავლება

მონაწილეები:

საჯარო სკოლების პედაგოგები, პროგრამის, „ასწავლე საქართველოსთვის“ კონსულტანტ-მასწავლებლები.

ღონისძიების იდეა და მიზანი:

სამეცნიერო დარგების მრავალფეროვნების მიუხედავად, სამყარო ერთიანია და საერთო კანონზომიერებებს ემორჩილება. სხვადასხვა საგნად დანაწევრებული სამყაროს აღქმა და სწავლა მოზარდისთვის არ არის მარტივი.

განათლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა თანამედროვე ცხოვრებისთვის ბავშვის მომზადება, მისთვის აუცილებელი კომპეტენციების ფორმირება, და ამის ერთ-ერთი გზა სასწავლო დისციპლინების ინტეგრაციაა. სკოლაში ბავშვები სწავლობენ ბევრ ისეთ საგანს, რომლებიც ერთმანეთთან ნაკლებად არის დაკავშირებული. შეძლებენ კი ჩვენი მოსწავლეები სკოლაში 12–წლიანი სწავლის შემდეგ, დამოუკიდებელი ფრაგმენტებისგან შეიქმნან მთლიანობითი წარმოდგენა სამყაროზე? სწორედ ამიტომ, მეტად მნიშვნელოვანია, პედაგოგები პერიოდულად ახორციელებდნენ ინტეგრირებულ აქტივობებს.

სემინარის მონაწილეებმა უნდა წარმოადგინონ ინტეგრირებულ სწავლებასთან დაკავშირებული თემები. შესაძლებელია განხილულ იქნეს ინტეგრირებული გაკვეთილი, პროექტი, რესურსი, ექსკურსია, გამოფენა და სხვა.

პრეზენტაციაში მკაფიოდ უნდა ჩანდეს:

- ინტეგრირების იდეა;
- განსახილველი და შესასწავლი ობიექტის სწორად განსაზღვრა და აქტივობის შინაარსის გულდასმით შერჩევა;
- მოსწავლეთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინება;

- როგორ იყენებს ერთი საგნის წინარე ცოდნას მეორე საგანში ასათვისებელი საკითხის საფუძვლად;
- ცალკეულ დისციპლინებში მიღებული ცოდნის სინთეზი;
- შესასწავლ ობიექტზე ცალკეული საგნის ფარგლებში დანახული განსხვავებული თვალსაზრისები;
- ინტეგრირებული აქტივობით მოსწავლის მიერ მიღებული მოსწავლე უნარი/გამოცდილება;
- რა უნარების განვითარების ხელშეწყობა მოხდა გრძელვადიან პერსპექტივაში და სხვა.

ნაშრომის გაფორმება

პრეზენტაცია შეიძლება წარმოადგინოს ერთმა ან რამდენიმე პედაგოგმა.

თემის სათაური, შესავალი, პროცესის მოკლე აღწერა, დასკვნა, გამოყენებული ლიტერატურა.

რეგლამენტი:

თითეული თემის პრეზენტაციისთვის განკუთვნილია 8- 10 წუთი.

დამატებითი ინფორმაცია:

სემინარში მონაწილეობის მსურველებმა თემის დასახელება უნდა წარმოადგინონ 28 ოქტომბრამდე, ხოლო თემა 18 ნოემბრამდე.

წარმოდგენილ თემებს განიხილავს სემინარის საორგანიზაციო ჯგუფი.

საკონტაქტო ტელეფონი:

599335675; 599009805; ნესტან მიქაძე; ელ. ფოსტა: nestanmiqadze@gmail.com

საპრეზენტაციოს თემის შეფასების რუბრიკა

		დაბალი(1)	საშუალო(2)	მაღალი(3)
1.	ნაშრომის აკადემიური სტილი,ენობრივი, ტექნიკური გამართულობა			
2.	თემის აქტუალობა,მთავარი თეზისი			
3.	თემის ანალიზი,პრობლემის გადაჭრის გზები			
4.	დასკვნითი ნაწილი, ავტორის არგუმენტირებული პოზიცია,			

	საკუთარი წარმატებული მაგალითები			
5.	ანალიტიკური მსჯელობა კონკრეტულ სასწავლო საგანთან მიმართებაში			
6.	ილუსტრაციები, თვალსაჩინოება			

 თემამ სემინარის საორგანიზაციო ჯგუფის მიერ განხილვის შემდეგ უნდა მოიპოვოს მინიმუმ ქულა, იმისათვის, რომ ავტორმა გააკეთოს პრეზენტაცია.